ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5534063

ნომერი: AR1839142

თარიღი : 20.07.2021

გაცემის თარიღი : 04.08.2021

გაცნობის თარიღი : 04.08.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ფერდობი ნუცუბიძე , მიკრო/რაიონი II , კვარტალი I , კორპუსი 8 , მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- სოფიკო აბესაძე პ/ნ 01024028503
- თბილისი ჟ.შარტავას ქ. N 6 ბ. 43

ორგანიზაცია:
- შპს ვაით სტუდიო კოდი: 404934372

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2021 წლის 20 ივლისის №AR1839142 განმეორებითი განცხადება, რომლითაც ითხოვთ ამავე სამსახურის 2021 წლის 19 ივლისის №5507383 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

აღნიშნული განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2021 წლის 27 ივლისის №5521981 ბრძანებით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, დაგიდგინდათ ხარვეზები და განგესაზღვრათ ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად.

დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ ხარვეზები არ იქნა შევსებული. კერძოდ, საცხოვრებელი, საზაფხულო და კომერციული ფართობები გეგმებზე კვლავ დაფიქსირებულია სავენტილაციო შახტების, კოლონების და გამყოფი კედლების ფართობების ჩათვლით. ამასთან, გაითვალისწინეთ, რომ ზემოაღნიშნული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გასწორება გამოიწვევს საერთო ფართობის ცვლილებასაც ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დაზუსტებულ იქნას მოთხოვნა საცხოვრებელ, საზაფხულო, კომერციულ და საერთო ფართობებთან დაკავშირებით. ასევე, საჭიროა წარმოდგენილ იქნას სამსახურის 2021 წლის 19 ივლისის №5507383 ბრძანებით შეთანხმებული გეგმების იდენტური გეგმები (გეგმარების ცვლილების გარეშე), გეგმებზე გასწორებული საცხოვრებელი, საზაფხულო და კომერციული ფართობების დატანით.

ვინაიდან სამსახურის 2021 წლის 27 ივლისის №5521981 ბრძანებას გაეცანით 2021 წლის 28 ივლისს, ხოლო განმეორებითი განცხადება წარმოადგინეთ 2021 წლის 03 აგვისტოს, ხარვეზის გამოსასწორებლად დადგენილი 30 (ოცდაათი) სამუშაო დღიდან დარჩენილია 26 (ოცდაექვსი) სამუშაო დღე. სამსახური გაძლევთ ხარვეზის შევსების შესაძლებლობას 26 (ოცდაექვსი) სამუშაო დღის ვადაში.

აღნიშნულ ვადაში ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში, თქვენი 2021 წლის 20 ივლისის №AR1839142 განცხადება დარჩება განუხილველი.

წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.